



# მეცტრნი



საყოველ-გებინაო ლიტერატურული და მსატკობითი გასკითი.

1 ივნინი

გამოცემა

№ 22

კვირაობით

1886 წელს.

ფასი „თეატრა“-ს წლით სუთი (5) მანეთი, სასკეარ წლით სამი (3) მანეთი, სსგა გადით სკელის მო-  
წერა არ მიადება. წაღვე ნომერი „თეატრა“-ს დინს სამი შაურა. სკელის მოწერა მიიღება: თბილისში  
„თეატრა“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღასიაში. გარეშე მსსოვრებთათვის ადრესი:  
Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

მართული თეატრი

გებინას, 1 ივნიას

ქართ. დასის არტისტ. გამართული იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა  
წარმოდგენენ

I

მონასტრის ზღუდეთ შორის

ანუ

## და ტერეზია

სუთ მოქმედ. დრამა ლუიჯი კომოლეტისა, თარგ. ბ.  
ცვარლისა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისა 8 1/2 საათზე

ახალი ამბები

◆ 22 მაისს დანიშნული ქართული დრამატი-  
ული საზოგადოების კრება ვერ შესდგა, რადგანაც  
საჭირო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა და დღე-  
ისათვის გადაიდგა. დღევანდელი კრება უსტაეის ძა-  
ლით კანონიერათ ჩაითელება და შესდგება კიდევაც,  
რაც უნდა მტირე რიცხვი წევრებისა დაესწროს.

◆ ღღეს ჩენი ქართული დრამატიული დასი  
უკანასკნელ წარმოდგენას მართავს. წარმოდგენენ  
ლ. კომოლეტის დრამას მონასტრის ზღუდეთ შო-

რისა (და ტერეზია), რომელშიაც მიიღებენ მონაწი-  
ლეობას ჩენი საუკეთესო არტისტები. ამ დღეებში  
ზოგიერთი არტისტები გამგზავრებას აპირებენ სხვა-და-  
სხვა ადგილებში წარმოდგენების გასამართავათ.

◆ ბატ. ი. ჯაჯანაშვილს შემდეგი პიესები  
გადმოუთარგმნია ქართულ ენაზედ: მარგალიტა გოტიკი  
—სუთ მოქმედებიანი დრამა ა. დიუმასი (შვილის);  
მამით თბილი—სუთ მოქმედებიანი დრამა მ. კ. ურბელა  
აკასტა—სუთ მოქმედებიანი ტრაგედია გუცოვიასა  
და ერთი არგინალური პიესა დაუწერია—ცნობარების  
მსსკრძლი.

◆ ბაზეთ «კავკასს» ნამდვილათ წვეუტყვია,  
რომ სკელშივე იმჟერატორის ბრძანებით, თბილისის სემინა-  
რილამ გამორიცხული მოწაფე ლაგიევი, რომელმაც  
24 მაისს მოკლა სემინარიის რექტორი მამა დეკანო-  
ზი პ ჩუდევკი სამხედრო სამართლით განისამართლება.

კურთუმ კახი

ცყჩნუხი

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,  
მაგრამ ფარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდების!  
წამხდენელთა და მძაქველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების  
ძრახვავე სჯობს საძრახვათა, ძრახვას კაცი მოუფთხების.

აკით გურამიშვილი



ე—შენ ვით შეგიყვარო, არ იქნები გამტანია:  
შრომას შენ არ იკადრებ, თუმც გადგავ კურტანია.  
შრომას თუ არ იკადრებ, რით გინდა სჯამო შური?!  
სუ თუ შურობას გიზამთ კურტუმ-კეხი «ტურნუხია»?!



მოდნები გავიხსენებთ დღისით და ღამე ძილში.  
 გასწვდეს ეგ თქვენი მოდნა და თქვენი ანგარიში!  
 შეიღებს აღარა დედობით, ქირისა არა გაქვით შიშა,  
 კვანძით—არა გტკივით რა, გაგიღით ვაგლას გიში,  
 ინაკრდეთ „ბარისნაჲ“, შენ რად გინდა შეიღები!  
 ქეიფს არ მოგაკლებენ თქვენ ბაღების გძირები.  
 გარეგნით სარ მოერთული, თუმცე კი ტუტეი გაქვს შიგნით,  
 ნასწავლი რომ გიწოდონ, შით დასვალ სულშიწიგნით.  
 არ გსურს: ვინ სარ იფიქრო, თავს არ უშირობ ტნობას  
 ახირებულნი რამ სარ, იხეიბე „ბარისნობას“!  
 შენი კაი ქალბა—შენმა ქნეამ მანიშნა,  
 მამა ტიკებს ჭებრავდა, შენ ვით გახდი „ბარისნა“!  
 „სუტ—ბარისნა“ ქალბსა—ვერ უწოდებთ ტკიანსა,  
 რადგანაც რომ მით მიესტე მართველ ქალბს ზიანსა.  
 ვერ გაბედავ მოგანდო ჩემი გასაჭირისა,  
 რადგანაც რომ წინად კგომნობ; არ გექნება შირისა!  
 სოფელელ გოგოს ჭიჭი მე! იგი შრომის შეიღია,  
 ქალაქელო, გვობინ—ფესებ დასეთილს!  
 მოდნის ყურნალებისა მას არ მართებს ვალები,  
 აი კაი საცლოლო, იმას ვენაცვალები!  
 უქმი სვაკი ბმანდები, მუქთათ სასრდო გრგებია,  
 სოფელელ გოგოს ნაღვეწი შესამთაც შეგრგებია!  
 ღოტო, ნარდის თამაში არის შენი სეფობა,  
 ჩემ გოგოს ვენაცვალე იმას უყვარს დღეობა!  
 ახა მამინ შენედეთ ჩემ გოგონა ეკასა,  
 როგორ მარდად დაუელის „გოგონასედ“ ტეკვას!  
 მარცხობს, თვალბებს ჭნაბამს, არ გიხვენიებს კიჭებს,  
 ჩემად კი თვალს ჩავლებს იქ საცლოლო ბიჭებსა!  
 ტოლებს სელსა ჩაჭკიდებს და დაბამს ფერსულსა,  
 «შველეგოსა შემოსისასებს, მამა შაზურს გლესურსა!  
 ფერსულს არ შეედრება „კვალსი“, არცა „კვადრეული“,  
 ქართველს გულს უმოძრავებს, მათი ვარ მადრეული!  
 ჩემი გოგო ატარებს გვსში სასრდოს გუდითა,  
 გაყრას ვერ გამოხედავს მე შენსავით სუდითა.  
 მითსარ რისთვის გიცლოლო, თუ არ ისაკ დედობას  
 და თავს არ დახეებებ კურტუმ-კისს და ყუბდობას!



კაი ჩვენი ბრადიცა, გაძვირდა გაჯი, კირი,  
 რადგანაც რომ ორ კენად შეგივლესათ შირი.  
 ქალბო, არ გაწუსებთ ქმრებისა გასაჭირი,  
 ეძახით: გვაჭამევით, დაგიდრწინათ შირი.  
 არეკ დარეული სართ; უცსო და შანაუზი;  
 ფესებზედა გვიღიათ ქმარ-შვილას სამსასურნი.  
 მანდილონისა შეიღებს დაგისურიათ ქუდი,  
 კომ-თასაკრავსა სწუნობთ, რა ნასეთ მათში ცუდი?!  
 უსაფუძვლო სწავლითა მთლად აგრეკიათ გვები,  
 ბიჭებს დამგზავსებისართ, გაგიგრეკიათ თიები.  
 რომანების კითხვითა წავსვლიათ შირის ფერი,  
 ნუ დაიშლით განაკეთ—მოდნა ყველაფერი!  
 ვერ არ დაქვრავებულსართ წინათ შაკებში ჯდებით,  
 თითქოს ამომწყვდარიყვით, ქმარ შეიღათ, მამა და დებით.

თეატრის მუშა

საქმავწილო წიგნები.

I

- 1) მენის ამაგი. თხუზ, უივატოვსკისა, გადმოთარგმნილი გ. შარაშიძისაგან.
- 2) შალვას თავ-გადასავალი—ცახელისა, გამოცემა ელ. ტატიშვილისა, თბილისი 1885 წ.

მითქმის არც ერთი ბუნებითი მოვლენა არ იძლევა ამთენს მასალას ბავშვის ცნობის მოყვარობისათვის და დიდებისთვის ცრუ-მორწმუნოებისათვის, როგორც ელვა, ქუხილი და მცხი. რომელღ ბავშვისთვის არ დაუცუა თავხარი ამ მოვლენათა, რომელი არ გაუქცუნებია თვისი მრისხანე გრგვინით შინისაკენ და ბოლოს რომელი ბავშვიდგან არ გამოუწვევია ამ საკვირველ მოვლენათა ცნობის-მოყვარობა გაიგოს—თუ საიდგან და როგორ ჩნდება ქექა, ქუხილი და ელვა, და აისწორეთ ამ წიგნაკის დანიშნულობაა გააგებინოს პატარა მკითხველს ამ მოვლენათა ნამდვილი მიზეზი და ააცდინოს იგინი ათასგვარ ცრუ-მორწმუნობაზე აშენებულს ცნობას. ბატ. ჟივოტოვსკის სახელი უკვე ცნობილია რუსებისათვის—როგორც კარგი ენით გაგებულად ამხსნელი ბუნებითი მოვლინებებისა და ჩვენი ქართველი პაწაწინა მკითხველებიც ბევრს რასმე სასიკეთილო ცნობებს ამოიკითხნენ ამ წიგნიდგან, თუმცა კი ბევრ ადგილას ენა თარგმანისა მეტად გატიალებულია. აი ნიმუშები ჩემი აზრის დასამტკიცებლად.—პირველივე გვერდზედ წაიკითხავთ: „ეთქვათ, მცხი დაცა იმ ადგილს, სადაც სახლები, ფაცხები, ეკა(?)ლესიები და სხვა შენობებიდგან ან—უთუოდ დაანგრეეს და დას-



წავს ამთ. (მოდო და გაიგე რის თქმა უნდოდა!..) იქვე:... „აპობს და ამტერებს ხეებს წვერიდამ ძირამდე (რა არის?) (იხილე 4 გვ.)...სე მთელი სოფელი აინთება და დაითუთქება (სოფელი?) (7 გვ.) „ამას გარდა, კარგად ვახეხილ ჩარხს რომ რომელიმე პატარა ცხოველი მივადოთ (ცხოველი „მივადოთ“ რაა?) ქალღლის ნაუწყები უნდა, და არა ნამცეცეები. (8 გვ.) „როდესაც ყველა ეს გამოიკვირეს და შეიტყვეს, იფიქრეს: ეგებ ელვა ჭექაც ამ ნაირი ძალსაგან ჩნდებოდესო, ესე იგი იმ ძალის მიზეზით, რომელიც მინის ხეხვის დროს მისაგან გამოდის,“ (აფერუმ ენას და კანსტრუქციას!:) (11 და 12)“ მკედარ რინმანს უბოლოვ და მკერდზედ აჩნდა დიდი მომწვარი(?), სხეულზე ბეერს ადგილას ლურჯად და წითლად დაპვლული(?) ჰქონდა, ცალი ფეხის წალაში ნატყვიარსავით ნახერტი უნახეს. (ცალი ფეხის წალა, ნატყვიარსავით ნახერტი, წითლად დაპვლული, დიდი მომწვარი!..) და სხვა ბეერს ადგილასაც შეხედებით ენის ამისთანა ნიმუშებს, რომლისათვისაც მადლობასთან ერთად არ შეიძლება რომ საყვედურიც არ უთხრათ ბ. მთარგმნელს.

(შემდეგი იქნება)

ს. — ძე

პატარა ნიჟოს ნატმარა

სულის შემამგვებელია ცხელი იენისის ღღეცა ლაქღვარდის ფერია და ისეთი წითელი, როგორც ცეცხლის ალი, მზე არ ათბობს და არც ანათებს— მხოლოდ შეუბრალებელად სწავს ყველაფერს თავის სხივებით. გახურებული ჰაერი მძიმეთ აწვეს გულზედ ყველა სულ-ღგმულს. ფრინველებმა შესწყვიტეს საამური ქლივილი, ხეებმა ჩამოჰკიდეს ფოთლები, პაწაწინა ბალახი სდგას გარუჯული, არ ჩურჩულობენ ერთმანეთში მინდვრის მხიარული ყვავილები, იმათაც მოწყენით დაუხრიათ თავები, დაუძღურებულან და ჩუმად, წყნარად იხოცებიან წყლის წყურვილისაგან. თავე ჩაქინდრულნი დახეტიალობენ განხროკებულ მინდორზედ ძროხები, ცხენები და ცხვრები,— და გულ-საკლავი ხმა მოისმის იმათ ბღაეილში და ზმუილში. საწყალ სოფლებში დანგრეულ ქოხნახებიდან ისმის ჩუმი გულის საკლავი ტირილი დედაკაცებისა და ბავშვებისა, დადგრემილნი და ნაღვლიანი უყურებენ მამები, ქრემები და ძმები. არ ისმის მხიარული ჩვეულებრივი ხარხარი, არც ხუმრობა და არც ვაჟ-კაცური სიმღერა. ბავშვებიც შეწუხებულნი უბოძო სიცხი-

საგან, გაჩუმებულან და მიყრუებულან. გოლკა,—საშინელი უბედურებაა გლეხ-კაცისათვის, რომელიც ცხოვრობს მოსავლით. გოლკა საშინელი ძალაა, არის ჩუმი მტანჯავი. გლეხებს კარგათ ესმოდათ ეს და იმიტომაც შიშით, წუხილით და ლოდინით შესტკეროდნენ ცას. აგერ ექესი კვირეა რაც ერთი წვეთი წვიმისა არ ჩამოვარდნილა დედა-მიწაზედ, დაიწვა მთლად ბალახი; იწვებოდნენ გარეშემორტყმული ტყეებიც. ძლივს დალასლასებდა საქონელი, ხალხი კი შევიწროებული პაპანაქებისაგან მობეზრებულნი ლოდინით, დახეტიალობდნენ როგორც ჩრდილი; რამდენჯერმე პატროსანმა მოხუცებულმა ღვეღმა, გადინადა პარაკლისი და სთხოვედა ღმერთს წვიმას; მხურვალედ და გულ მოდგენით ლოცულობდნენ გლეხებიც ღმერთმა გაიგონა იმათი ლოცვა, რომელიც მათ ტანჯულ გულის სიღრმიდგან ამოდიოდა. ლაქღვარდ ფეროვან ცაზედ გამოჩნდა პატარა თეთრი ღრუბელი; შეწუხებულ გულს მოეცა იმედი სუსტი, ძლივს მხუტტე როგორც მკვარი ზამთრის ღამეში—იმედი გადარჩენისა შიმშილ სიკვდილისაგან; თუმცა ღრუბელი იყო ისე პატარა და ისე თეთრი, რომ ყოველ წამს შეძობობოდა გამქრალიყო ცის უსამზღვრო სივრცეში, მაგრამ თეთრი ღრუბელი გადმოსტკეროდა სიყვარულის ნუგეშით პატარა ღარიბ სოჯლებს დანგრეულ ქოხებს და მასში იბადებოდა დიდი აზრი—დაეხსნა ეს მოქანცული, დამწეული ხალხი, მწუხარებისაგან. «ტყუილ-უბრალოზედ რას ოცნებობ!» აღერსიანათ ეუბნებოდა ღრუბელს გახურებული ოქროს მზის სხივები. «ის არა სჯობს სცურავედ უღარდელად ცის ლაქღვარდ სივრცეში, თამაშობდენ ჩვენთან, გრძობდენ ჩვენს აღერს, ირხეოდენ ნიავის ბერვით და მხიარულობდენ» ეჩურჩულებოდა მსუბუქი ქარი. «ჩვენ რა საქმეა!».. მაგრამ თეთრმა ღრუბელმა ზიზლით მოარბიდა თავი მხიარულ სხივსა და ცელქ ქარსა, ის მოიმტუხა, დაიბურა და დაიწყო უფრო ზრდა და შავება. ბოლოს სრულიად დაჰვარა ცელქი სხივები, და ისინი დაფარულნი მათ კიდევ უბურტყუნებდნენ. ღრუბელი გადაქცეული დიდ-უზარ-მაზარ შავბნელ-ღრუბლად, ყურს არ უფდებდა მათ, იმან კიდევ ერთხელ სიყვარულით გადაავლო თვალი საწყალ სოფლებს, ქოხნახებს; მოისმა ჭექა ქუხილი, გველივით დაიხლანა ელვა ცაში— და ღრუბლებმა ფრქვევა დაიწყო, უხვი განმაცოცხლებელი წვიმისა, დიდხან იწვიმა სასიამოვნოდ. თავისუფლად ამოისუნთქა ხეებმა, ხელახლად ამწვანდა ბალახი, ყვავილებმა ამართეს თავები და სოფლელი ხალხი, აღტაცებით და მხურვალედ ლოცვით მიეგება შიმშილ-სიკვდილი-



საგან მათ განმათავისუფლებელ ღრუბელს. მამებმა დაიწყეს ცქერა მამაკაცურად, დედებმა შესწვიტეს ტირილი, ბავშვები გამოცვიდნენ კარზედ, ფრინველებმა შეტყენეს ქლივილი და ღრუბელს, ამ სიკეთის მომქმედს, მადლობას უხდიდნენ. იმას არ ესმოდა დაცინვა, ხელახლად გამოჩენილ მზის სხივებისა, ის სიამოვნებით უცქეროდა განაახლებულ ბუნებას, გაცოცხლებულ ხეებს, ყვავილებს და დახსნილ ხალხს, ის-თან-და-თან პატარავდებოდა, თეთრდებოდა და გრძობდა, რომ ეს მობიბინე მწვანე ბალახი, ეს გაცოცხლებული ბუნება, ეს დახსნილი ხალხი მის საქმეა. ალერსიანი სიცილით ყურს უგდებდა მხიარულ ფრინველების ქლივილს, ჩუმ ყვავილების ჩურჩულს, მხურვალე მხიარულ ხალხის ლოცვას და ღრუბელი ჩაინთქა უძირო ცის კამარაში. «დედა,» — დაფიქრებულმა წახურჩულა თავის კეთილ დედას, ფერ მკრთალმა, გამხდარმა ნიკომ, სოფლის მასწავლებელის ვაჟმა. — «დედა! ახ, ნეტავი მე ეყოფილიყავ ის თეთრი ღრუბელი, რომელმაც გაცოცხლა ბუნება, მე მინდა იმ გვარი ღრუბლად გარდაქცევა!» დედამ ნაღვლიანად ნამდვილ დედობრიულის შიშით მიიკრა შვილი გულზედ, იმიტომ რომ ის განაცვიფრა და შეაშინა ცეცხლმა, რომელიც გაიელვა შავ თვალეში და დაუწითლდა ნიკოს ლოყები. «კმარა შვილო,» ჩუმად წარმოთქვა დედამ და გადასწერა ბავშვს პირჯვარი. მაგრამ ბავშვის თვალეში უფრო და უფრო ელავდნენ. ნაღვლიანად და უკმაყოფილოდ გააქნია თავი კეთილმა დედამ და გავიდა ოთახიდან. ყმაწვილი ისევ იღვა ფანჯარასთან, საშინლად ელვარებდნენ იმისი შავი თვალეები, ეკვერებოდნენ გამხდარი ლოყები.... ის შესცქეროდა მომაკვდავ თეთრ ღრუბელს....

აღ. ც—რ—ქე

სახალხო ლექსები.

შეკრებილი ნებოძირში ს. ლონღაძისაგან)

1

აფრინდა ქორი, აფრინდა;  
 არაგვი ჩაინადირა;  
 ცსეთას დაეცა დედალსა,  
 აგტალას მტკეპნი აღინა.

2

ჭინჭკვალს დმერთი გაუწეშებს,  
 ფრთები მსრუბში გამოუვას;

ზუგას ასვლას მოინდომებს  
 სული გ'ხაზედ ამოუვას.

3

ურემო, ფესო მალალო,  
 ხუნდი გიჟია გიშრისა.  
 ხარები კარგი გიბია,  
 მაგრამ ტალასა გიშლისა.

4

ვიტი ვასას თესვიდა,  
 თვით ბრქეი და შეცნიერია:  
 გვერდს ედვას თოჯალის ნაკვეთი  
 და კუპრიც მისი მაკერი.  
 ჭქონდა ჩაღისა გუთანი  
 და სარც მისი მიკერი.  
 ვინცა ამას გამოცნობს  
 ის არის გულის სმაკერი.

5

იანვარი მოწუწუნებს,  
 როგორც გაზაფხულის გველი.  
 თებერვალი ამას ამოხსნის:  
 საჭმელს ნუ აუკარით სელი.  
 მარტმა თქვა: ოჩხარს განარებ,  
 ყველამ მაშინმართეთ სელი.  
 თქვენ შამფური დაამზადეთ,  
 მე სამწვადე მომაქვს ბუკერი.  
 აპრილმა შემოუთვალა:  
 დმერთმა მოგიმართეთ სელი,  
 მაცადეთ, თუ ანგრე არის  
 თოვლს ვერ მოგიწვეტოთ წელი;  
 არტანის წყალს შეუთვალო,  
 რუებს გადახვიოს სელი  
 სეგ-სუვი წელითა ავამსო,  
 ტკვარსაც შეუძღვრო ყელი.  
 სამეურს ბალახით ავამსო,  
 მთა და ბაზი, ისე ყელი.

6

სიკვდილის და ოპლის ბაიი.

სიკვდილმა ჩამოიარა,  
 ოპლი დასვდა წინაო.  
 — სიკვდილო, მე წამიყვანე,  
 ოპლია მომქვინაო.  
 — მე შენ როგორ წაგეყვანო,  
 ვილა დაგჩნება შინაო,  
 არც გაქვს სამთელი, საკმელი.  
 არცა სუღარი შინაო.



ერთი ბეუერი დედა გუჯეს,  
 ესიც არა გუჯეს შინაო.  
 იქ მინდა, წავიდე კასეთსა,  
 კაცი მიმიძღვის წინაო.  
 ცნება მძანი გამრავლებულან  
 ნახვა იმათი მინდაო;  
 მინდა ისინი გაუყარო,  
 ცალცალკე მივცე ბინაო.  
 იქადგან რომ ჩამოვივლი  
 მაშინ დამისვდი შინაო.

7

ვაჟის წერილი ძალინადმი.

ქალო, შენი გონებითა,  
 მე აქ ვიწვი ალებითა;  
 ენა შენი დამატრეებს,  
 ცრემლს მუყრიდე თვალებითა;  
 ვა თუ ორნი დავისოცოთ,  
 ერთმანეთის გონებითა;  
 სიკვდილსა შენ სანაცნალოთა,  
 ჩემს თავს მივცემ და შენ არა,  
 ვაი თუ ეს დამეპართოს:  
 მე მიუყარდე და შენ არა!

8

ძალის წერილი ვაჟისადმი.

წიგნი არ მიმიწერია,  
 ჯერ ამის მეტათ მხისთვინა.  
 მოკითხვა არ შემიძლება,  
 პირ-ღამისის მთავრისთვინა.  
 მოძულეებსა ამოხენ,  
 ნეტა არ ვიცი რისთვინა.  
 ნუ მაძიებუბ, ვასსოვდე,  
 მადლია შენი ღვთისთვინა.—



შეშლილი სიყვარულისაგან \*)

ღრამა 5 მოქმედ. თსზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

სტენა V

ივინივე, დედოფალი (მანტიაში, კორონით და (სკიპეტრით)

დედოფალი მზა დედოფალსა! (მეფეზე წინადავა დალიჯზე)

\*) იხილე „ოეატრი“ № 20.

მეფე. დედოფალო! (ხანგრძლივი ჩურჩული, საზოგადო განკვირვებანი.)

მარკიზი. დონა ხუნანა!

დონ ალვარი. (თავისთვის) მოლოდინზე მეტია. (სიჩუმე)

დედოფალი. რამ შეგაშფოთათ ავრე და რამ განაცვიფრათ. თქვენ არ მომელოდით განა? ფიქრათაც არ მოგივიდოდათ, რასაკვირველია. ჩემი ოთახის კარებში დარაჯა ჩაგიყენებიათ, მაგრამ ამბობენ, სიკვდილის გარდა ყველაფრის დათვუნვა შეიძლებაო. მეფემ კარები დამიკეტა, დედოფალმა გააღო. იგი დაკეტა ფლამანდიელმა მუხანათობამ, კასტილიის ერთგულობამ გააღო, და მეც გამოვედი.

დონ სუან მანუელი. (მეფეს ჩუმათ) ენერგიული მოქმედებაა საჭირო.

მეფე. მიბძანდით, სენიორა, თქვენს ოთახში.

დედოფალი. რისთვის? მე ხომ ვიცი რა საჭირო საქმეზედაც გექნებათ აქ ბაასი; ლაყბობთ იმაზედ— რომ მე გამდევნოთ აქედგან და სამულამოთ ციხეში ჩამაწყვილიოთ. ლაყბობთ იმაზე რომ ჩემი კუთვნილი გვირგვინი მოგცენ შენ... მე გეთანხმებით—ეს ძალინ დიდი და საჭირო საქმეა... მეც ასე ეფიქრობ.. მე მოვედი მარტო იმისთვის რომ გავანელო, როგორც ჩემი მოვალეობა მოითხოვს, ის მწუხარება, რომელიც ჰქეჯნის და აშფოთებს ჩემს მოსიყვარულე მეუღლის გულს, მე მსურს სამართლიანად დეაჯილდოვო ყველანი, ვისაც კი ასეთი პატიოსნური ლტოლვილება და სიბეჯითე გამოუჩენია საზოგადო კეთილდღეობისათვის; მე მსურს უთხრა უკანასკნელი „მშვიდობით“ ჩემი წინაპართა დალიჯს. და რადგანაც ვიცოდი რომ თქვენ არ მოგწონთ უბრალო შავი ტანსაცმელი, რომელსაც მე ყოველთვის ვატარებ ხოლმე, ამისთვისაც ჩავიცვი მე სამეფო მანტია, დაეიხურე კაოონა და როგორც ჰხედავთ სკიპეტრიც ხელში მიჭირავს. (ჩამოდის დალიჯიდან და მივა დონ ხუნან მანუელთან, ამასა და სხვა გრანდებსაც მიმართავს პატიოსნური ირონიით) ზეცა იყვეს თქვენი მფარველი, დონ ხუნან მანუელო, ბატონო დე-ბელმონტ, დე-კამპოს და დე-სევიკო დე-ლატორრე, რომის ელჩო, დედა ჩემი იზაბელას მაჟორდამო, პირველო კავალერო ისპანიის ოქროს რუნოსი და პრეზიდენტო ჩემი რჩევისა. ამ წამში თქვენი დიდება ძრეილია სხვა დონ ხუნან მანუელის დიდებაზე, იმ დონ ხუნან მანუელისა, რომელმაც თავი გამოიჩინა თავის განსწავლული კალამით და დაუტყრომელი ხელით დაამარცხა და დაამცირა ამაყი ოსმანი, სარდალი გრენადის სახელმწიფოსი. აი ეს, ბატონებო, ნაშთი ინფანტი დონ მანუელისა, წმინდა მეფე ფერდინანდის



შვილისა, შვილიშვილი სტამბოლის მეფეებისა, და რა გგონიათ? იგი დღეს გამხდარა ხელის შემწყობი ავსტრიის ერც-გერცოგი გულის თქმათა!

დონ სუან მანუელი. დედოფალი!

დედოფალი. ოჰ, თქვენც აქ ხართ, კეთილშობილო მარკიზო დე-ვილიენა, ესკელონის გერცოგო! გაგონილი მაქვს, რომ თქვენი წინაპარი პორტუგალიის რაინდი დიეგო ლოპე და პაჩეკო დე-კასტროს მკვლევლებში რეულა, გაგებული მაქვს რომ თქვენმა კეთილშობილმა მამამ პრინცს დონ ალფონს მისცა საწამლაი ჩემი ბიძის დონ გენრიხის კანონიერი მეფის გულის მოსაგებად; გაგონილი მაქვს, რომ თქვენ მოჰკალით პირველი გრაფინია დე-სანტისტევანი, ბიძაშვილი დონ ალვარი დე-ლუნასი, და რადგანაც ჩემი მშობლების ბძანებით ჩამოგერთოთ: ტრუხილიო, ჩინჩილი, ალბასიეტი, სანკლე მენტე და ქალაქი ალკაზარი და მადრიდის ნაწილები; თქვენ გნებავდათ ესენი ისე დაგებრუნებინათ და განიძრახეთ ჩემი და ათი სხვა დედა-კაცის სიკვდილი. და თუ ეს მართალია, გეფიცები ჩემს სიცოცხლეს, ბატონო მარკიზ დე-ველიენავ, რომ კარგი მოდგმა გქონიათ.

მარკიზი. (თავისთვის) ღმერთო ჩემო!

დედოფალი. ბარაქალათ ბატონებო. ეჭვი არ არის დედოფლის დამცირება და სამშობლოს შეურაცხება გაგახარებდათ თქვენ: ერთი თქვენთაგანი მიწების განმრავლებას მოელოს, სხვები ტიტულს; ზოგნი ეთაყვანებიან ოქროს რუნოს და კიდევ ბევრი თქვენგანი მეელიან კარგს შემოსავლიანი ადგილის ჩადგებას თავისთვის თუ ნათესავებისათვის. ასეთი თქვენი ქცევა ახალი კი არ არის—თქვენ დიდხანია მზათა ხართ მეფეების და ხალხის ცარცვა გლეჯისათვის, თქვენ დასაბამიდან ავითვალწუნებიათ ტახტიც და ხალხიცა.

დაჩბასიელი. დედოფალი!

მარკიზი. თქვენ ჩვენ შეურაცხობას გვაყენებთ.

დონ სუან მანუელი. თქვენ შეურაცყობთ კასტილიის გრანდებს.

დედოფალი. სასაცილო იქნებოდა თქვენ რომ გეწყინოთ რამე! განა ჰკუზავ შეშლილს ეყურება რასაც ლაპარაკობს? თქვენ ხომ იცით, რომ მე შეშლილი ვარ! (ეკიმებს) ეს არის ხომ თქვენი აზრი, პატიოსანნო და ნასწავლნო ეკიმნო, რომლებსაც სასიცოცხლო მეცნიერება დამლუბველ იარაღად გაგიხდიათ. მე დღეს არაფერი მეთქმის, (სარკაზმით) თქვენ იცით რომ მე შეშლილი ვარ და ჩემს სიტყვებს ყურადღებას არ მიაქცევთ.

მეფე. ხომ ჰხედამთ, ბატონებო, რომ მოთმინება აღარ შემიძლიან.

დედოფალი. (აწყვეტინებს) და მე რა მეთქმის თქვენი მწუხარების განსაქარებელათ? (გაიყვანს და ხმა დაბლა) შენი ბურგუნდიისა და ფლამანდიისათვის კასტილიის გვირგვინი დიდი ჯილდო იქნება! დიდი ჰკუა და ცდა გმართებს რომ შენგან ამ ჰკვიანურ დაწყობილ საქმეს ბოლოც მიაღწევო. შენ ხომ წაართვი სამეფო ტახტი შენი შვილის დედასა. ესლა ეს-ლა დაგრჩენია—წაართვა მემკვიდრეობა შენს კანონიერს შვილს და დაუსაკუთრო უკანონო შვილებს.

მეფე. დონა ხუნა!

დედოფალი. ხომ გაგიგონია და იცი რომ მე შეშლილი ვარ!

მეფე. ბატონებო, ჰხედამთ ხომ რა შეურაცხებაა! ესლა კი დროა...

დედოფალი. ბეფიცები ღმერთს—მოვიდა დრო ჩემი გამეფებისა. სისულელე და დანაშაულობა იყო ჩემის მხრით—როდესაც სხვისადმი სიყვარულს ჩემი ხალხისადმი სიყვარულს ვანაცვალე. მე ვერძნობ ამ დანაშაულობას და სხვისი თავხედობა აღარ მაკვირებს. მამა-კაცის სიყვარული—დედა კაცის სიყვარულია, მაგრამ დედოფალს ხალხიც უნდა უყვარდეს.

მეფე. (თავისთვის) იგი იმარჯვებს ჩემზე, მამაცირებს! (გრანდები შემეფეხვევიან და იფარამენ მეფეს დონა ხუნასაგან.)

დედოფალი. ნულარა ჰეიქრობთ დაარღვიოთ კანონები, რომელნიც იზაბელა—ფრანგის შეძლებულმა ხელმა დაგიწერათ თქვენ, როგორც დედაჩემის წინ გითთრდოდათ გული, ისევე აჰკანკალდებით მისი ქალიშვილის წინ. დაუბრუნეთ სახელმწიფოს ის სიმდიდრენი, რომელნიც წაგირთმევიათ თქვენ იმისთვის. დაუბრუნეთ სკიპეტრს დაკარგული მისი შენება! თქვენ არა ხართ კასტილია, კასტილია—ეს ხალხია, კასტილია—ეს მისი დედოფალია.

მეფე. ბადით აქედგან, სენიორა! მიძიულვებთ ძალა ვინმარო.

დედოფალი. მის შეუძლიან მე ხელი მახლოს? ადმირალი. ბატონო, თქვენს ჯიუტობას შესაძლოა საშინელი უბედურებანი მოჰყვეს.

დონ ალვარი. ნუ ინებებთ, რომ ისპანიისეც ხელით ისპანიის სისხლი დაიღვაროს.

მეფე. ჩემს საკუთარ სასახლემი არეულობა ბულობს.

მარკიზი. გაუმარჯოს მეფეს!

დაჩბასიელნი გაუმარჯოს მეფეს!

მეფე. ბაიგონეთ ხომ, სენიორა? კასტილიის ყველა გრანდს ჩემი მხარე უჭირავს.



ხალხის სმა. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! გაუმარჯოს დედოფალს!

დედოფალი. მესმის შენ? ჩემი მხარე მთლად ისპანიის ხალხს უჭირავს.

მეფე. ოჰ, წყულო!

ადმირალი. ისპანია გადარჩა!

მარლიანო. სიმართლემ გაიმარჯვა;

დონ ალვარო. ღედოფალმა გაიმარჯვა!

დედოფალი. იქნება ხმა ცუდათ შემომესმა ახლო მინდა გავიგონო (მთა ბალკონთან)

სეპი. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! გაუმარჯოს დედოფალს!

დედოფალი. (ბალკონიდან) მადლობელი ვარ, ჩემო ძმებო! ნურაფერისა ნუგეშინიანთ, მე ბურგოსიღვან ფენს არ გავდგამ. თქვენს ერთგულობას ვენდობი მე.

სეპი. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! სიკვდილი ფლამანდიელებს!

დედოფალი. (მთა მეფესთან) რაღა ექნათ, ფილიპე? ჩემი ხალხი ჩემსავით გადარეულია.

მეფე. სალდათონო, გარეკეთ ესენი აქედან.

კაპიტანი. თუ დედოფალი ბძანებს...

დედოფალი. როგორ? ესენიც... მართალია ძველებური ანდაზაა: „ერთი გასერილი ღორი, ას ღორს გაატალახინებსო.“ მთელი სახელმწიფო კუთხე შეიშალა!.. ფრთხილად, ფილიპე. გიყვებთან ბასი და გამცირებთ თქვენ. მშვიდობით ფილიპე, მშვიდობით ბატონებო. სალამს გაძღვეს კუთხე შეშლილი დედოფალი. (თავს უკრავს და თავისთვის ამბობს) ოჰ, საწყალო ჩემო გულო, რა რიგად დამარცხებული ხარ ჩემგან (მიდის.)

### სცენა VI

ივინიე, დედოფლის გარდა.

მეფე. (თავისთვის) რომ დავიწყო ბრძოლა და გავიმარჯო კიდევ, მაშინ ვიზე ვიყარო ჯავრი?

ადმირალი. მეფე! შეისმინე ხმა კეთილ-გონიერებისა და სიბრალულისა...

მეფე. მაჩუქდით ადმირალო. გეფიცები მამიჩემის სიცოცხლეს, რომ თქვენ ბევრს განანიებთ!

ადმირალი. კეთილი საქმისათვის სასჯელს ვირჩევ, ცუდი საქმისათვის ჯილდოსა. საათი მონაწილისა მეფეებსაც დაუდგებათ ხოლმე. როდესაც თქვენ მოინანებთ სუყველა იმ შეცდომილებათა, რომელნიც

ხრწნიან და უმღერევენ დიდებულთა გულებსაც, როდესაც იგრძნობთ თქვენ სიმძულვარეს თქვენი ურცხვო საქმეებისადმი, მაშინ თქვენ დააფანებთ იმას, ვინც გეჯავრებათ და დაადგებით კეთილის გზასა. მე კი თავის დღეშიაც არ ვინანებ იმას, რომ მე, როგორც რაინდი გამოვესარჩლე მანდილოსანს, და როგორც ისპანელი—დედოფალს. (დაუკრავს თავს და მიდის.)

მეფე. წადით, ბატონებო! მე მარტო მინდა აქ დარჩე.

დონ სუან მანუელი. (ღარბისელო) წავიდეთ. შემოიღმა კაი ამბავი დაგეწია.

მარკიზი. ექვობ—რომ იგი ისე არ არის ჭკუაზე შეშლილი, როგორც ჩვენა ვფიქრობდით.

მეფე. თქვენ აქ დარჩით, მარლიანო, თქვენც, დონ ალვარო! (ჩუმად ვერეს რომელიც მიდის კარებისკენ—რაც სცენის სიღრმეშია) ამოიჩიე ორი ფლამანდელი საიმედო სალდათი და აქ მოიყვანე.

### სცენა VII

მეფე დონ ალვარი და მარლიანო.

მეფე. ბანა სიკეთეს, ბატონო მარლიანო, აგრე უხდიან?

მარლიანო. სიკეთეს ცუდს საქმეს არ წაუძღვარებენ. საქირო იყო ასე მოგქცეულიყავი თქვენი დიდებულობის სასარგებლოდ.

მეფე. (ირონიით) თქვენ ასე გგონიათ? ორი წელიწადი რომ ციხეში იფიქრებთ, თქვენ აზრებს შესცვლით.

მარლიანო. იქაც მე იგივეს ვიტყვი. (მიდის)

### სცენა VIII.

მეფე, დონ ალვარი, მერე ვერე ორი სალდათით.

მეფე. ბუშინ თქვენ აქედან დავითხოვეთ, დონ ალვარო, დღეს არამც თუ გაჰმდებთ აქ დამბურნება, გაჰმდებთ კიდევ ჩემთან ბრძოლა.

დონ ალვარო. სამი დღე ვადა მამეცით აქედან გასვლისათვის და თუ სასახლეში მოვედი—ამას ითხოვდა მოვალეობა პატროსანი ვასალისა.

მეფე. ადვილი მისახვედრია—რომ თქვენ და თქვენი მეგობარი ადმირალი ბრძანდებით არეულობის ამშლელნი. თქვენი წყალობით მე ურცხვი დამცირება გადამხდა. გარწმუნებთ, კაპიტანო, რომ მაგიერს გადავიხდით.



დონ ალკარი. ასრულდეს ნება თქვენი ჩვენზე, მაგრამ საცოდავი თქვენი შეუღლე კი უნდა დაიფაროთ, იმან უკანასკნელებამდის მიხწეულმა მოიკრიფა ძალნი, რომელთაც თავგანწირულებამდის მიახწეინა, დაიწყო ბრძოლა, თქვენ საწინააღმდეგე კი არა, თქვენს დასახმარებლად, რა არის იმისთვის დალიჯი? მისი სურვილი — თქვენს ახლო ცხოვრება; იგი იცემადა უფლებას მეუღლისას და არა დედოფლისას.

მეფე. როგორ?! ემას თქვენ მირჩევთ — რომ დონა ხუნა შევიყვარო? თქვენ ნუ გგონიათ — რომ მე არ ვიცოდე მიზეზები, რომლებიც განარჯეინებენ მაგისტანა დარიგებას და ჩემს წინააღმდეგე გაბრძოლებენ?

დონ ალკარი. სამშობლისა და დედოფლისადმი სიყვარულის მეტი მე სხვა მიზეზი არა მიმიძღვის რა წინ.

მეფე. მე ვიცი, რომ თქვენი თვალი იკითხვენ იტკერის, საითაც ჩემი, ჩემსა და თქვენ სურვილთა შუა მოგებრებებით მეუღლის ეკვიანების და მის განრისხების ჩაჩხირება.

დონ ალკარი. (თავისთვის) მცბიერო აღდარა!

მეფე. ამას რაღა დამტკიცება უნდა. თქვენ გუშინ შეატყობინეთ დედოფალს ეს საიდუმლოება და ურჩიეთ კიდევ ამ საშუალების ხმარება. თქვენ ჰხედავთ დედოფლის და სამშობლოსადმი ლაპარაკს? საზიზღარო ფარისევლო! შეურაცხე მეფედ მიჯნური და ამ ორი დანიშნულებისათვის მე დაგჯიოთ თქვენ. სუყველას ჯავრს თქვენზე ვიყრი.

დონ ალკარი. თქვენ უმიზეზო შეურაცყოფას მაყენებთ.

მეფე. შემომხედეთ, დონ ალვარო. მე ცუდათა ვგრძობ თავსა, ძლივს-ლა ვდგები, თქვენ ერთგული, სარწმუნო კაცი ხართ, ამაში მე დარწმუნებული ვარ და ჩემის გულის მშვიდაობის დაბრუნებას ბედნიერებად ჩასთვლით, წამალი კი რომლითაც შეიძლება რომ დაეშვიდდე — ეს მთლად თქვენი სისხლია...

დონ ალკარი. აღსრულდეს ნება თქვენი, მეფე.

მეფე. თქვენ უარყავით ჩემი მეფობა, ესლა მე მსურს რომ თქვენი მტარვალი ვიყვე. ეს ახალი ამბავი არ არის — რომ მეფემ თავის თვალწინ, თავის სასახლეში მოამბოდეს თავი წაადგებინოს, მეფე დონ

პედროს კასტილიელებმა მართალი და სასტიკი უწოდეს; დეე მე რაც უნდა დამიძახონ (დანიხანეს შემოსულ ვერეს) მე მეგონა თქვენ თავისდღეში აღარ დაბრუნდებით მეთქი. (დონ ალვარს) დონ ალვარო, მიეცით თქვენი ხმალი.

დონ ალკარი. მეომარი დიდებული სარდლისა მრავალთან ბრძოლას დაჩვეულია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, მეფე, რომ მე მოაბოხე არა ვარ. (აძლევს სალდათებს ხმალს)

მეფე. (სალდათებს) წაიყვანეთ ჩუმათ სასახლის ერთს კოშკში. ყური უგდეთ თორემ პასუხის გებაში თქვენ ჩაკვივებით. (დონ ალვარს) კაპიტანო, სიკვილილი მოგელის.

დონ ალკარი. მე ბევრჯელ მინახამს სიკვილილი, იგი ჩემი კაი ნაცნობია, როგორც ალერსიანი მეგობარი, ისე ესაც ყველა პატიოსან კაცს ალერსიანად ისტუმრებს. მეც ეს მიმიღებს და თქვენ კი არა.

მეფე. (თავისთვის) მე კი ვერ უნდა ვინუგეშო იმითი, რომ იგი აკანკალებული დაინახო! (ხმამალა) წადით. (დონ ალვარი გაჰყვება სალდათებს) უთხარით რომ ეს კაცი მოამზადონ სასიკვილილოდ და დეე ეხლავე მოკვდეს.

გურე. მს არის თქვენი განაჩენი, მემე!

მეფე. მცადენით რომ ვეველა ეს ჩუმათ მოხდეს. გაიგეთ? რამდენათაც კარგათ შესარულებთ ჩემს ბძანებას, იმდენად კარგ ჯილდოს მიიღებთ.

გურე. ავასრულებ თქვენ ბძანებას (მიდის)

(შემდეგი იქნება)

ა. ნ — თ — მქსი

წინა გამოცხანების ახსნა

1) კიტრი. 2) ქარი. 3) კრუხნი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.